შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლის

IVბ კლასის მასწავლებლის

რუსუდან ალიბეგაშვილის
სადამრიგებლო მუშაობის ანგარიში

(2022-2023 სასწ. წელი. I სემესტრი)

ჩემი სადამრიგებლო მუშაობა ემყარებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მიმართული იყო მოსწავლეების გონებრივი, სოციალური და სულიერი განვითარებისაკენ. სადამრიგებლო საათი აყალიბებს და ქმნის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს. თითოეული სადამრიგებლო საათის ბოლოს მოსწავლეებისგან ვიღებდი უკუკავშირს: რა გაიგეს, რა ისწავლეს, რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ. ეს მეხმარებოდა შემდგომი შეხვედრების მეტად ეფექტიანდ დაგეგმვაში.

სასწავლო წლის დასაწყისში შევხვდი მშობლებს, გავაცანი სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო გეგმა და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, ავუხსენი მათ, რომ ეს წესები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დისციპლინისა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.
მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე ქცევის წესები და გამოვაკარი თვალსაჩინო ადგილას.
ვცდილობდი მათ გაეთავისებინათ ცნება-თანაკლასელი, რათა თავიდანვე ამეცილებინა ურთიერთობისას კონფლიქტები. ხშირად ვუმეორებდი: ,,მოექეცი ისე სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ".

სემესტრის განმავლობაში პერიოდულად ვესწრებოდი ჩემი კლასის პედაგოგებს:

ინგლისური ენა - მარიამ ბრეგვაძე
რუსული ენა - ლია როგავა
მუსიკა - თეა კერესელიძე
სახალისო მათემატიკა - ლელა ეუაშვილი
ჭადრაკი - გიორგი გოგიჩაიშვილი
სპორტი - სოფო ბოდოკია

თვალს ვადევნებდი ბავშვების ჩართულობას სასწავლო პროცესში, ასევე მათ ქცევას. პრობლემის შემთხვევაში, საგნის პედაგოგთან და მშობელთან ერთად განვიხილავდი, თუ რა იყო მიზეზი ამ პრობლემის და ერთობლივად ვსხავდით გადაჭრის გზებს.
მეორე სემესტრში კვლავ გავაგრძელებ მითითებულ გაკვეთილებზე დასწრებას.

თვეში ორჯერ ვატარებდი სადამრიგებლო საათს, რომელიც გათვლილი იყო მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებებზე:

√ პიროვნული და მორალური განვითარება;

√ გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
√ მეწარმეობის უნარების განვითარება;
√ მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
√ თვალსაწიერის გაფართოება;
√ ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
√ უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;

ამ მიმართულებებზე განვიხილე მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემები:

ქცევის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესის, კალენდრისა და სახელმძღვანელოების გაცნობა; საკლასო წესების შემუშავება;
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; ევაკუაციის გეგმა;
რას ნიშნავს იყო მეოთხეკლასელი;
გავუფრთხილდეთ ბუნებას;
ფანტაზია და ტყუილი;
ნამდვილი მეგობარი;
მეწარმეობის არსი;
წიგნი - ჩემი მეგობარი.

მიმართულებაზე პიროვნული და მორალური განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო
საათი - მოსწავლეებთან ერთად საორგანიზაციო საკითხების გაცნობა. მოსწავლეებს გავაცანი ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი, კალენდარი და სახელმძღვანელოები. ბავშვებთან ერთად შევიმუშავე კლასში ქცევის წესები. გაიმართა დისკუსია, თუ რომელი წესი იყო მისაღები და რატომ, რომელი - მიუღებელი. მსჯელობის შემდეგ შევჯერდით, ჩამოვაყალიბეთ კლასში ქცევის წესები და გამოვაკარი თვალსაჩინოდ.

მიმართულებაზე პიროვნული და მორალური განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო
საათი თემაზე: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; ევაკუაციის გეგმა. ვესტუმრეთ სკოლის ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკარი ესაუბრა მისი მნიშვნელობის შესახებ და გააცნო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. უსაფრთხოების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით მოსწავლეებს გავაცანი ევაკუაციის გეგმა.

მიმართულებაზე პიროვნული და მორალური განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო
საათი თემაზე: რას ნიშნავს იყო მეოთხეკლასელი. გაიმართა დისკუსია თემის ირგვლივ.
ბავშვებმა აღნიშნეს, რომ მეოთხეკლასელობა მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ყურადღება გაამახვილეს ზრდილობაზე, გაიხსენეს ანდაზა: ,,ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა". აღნიშნეს, რომ მათ უკვე უფრო მეტი მოეთხოვებათ, უნდა შეძლონ ერთმანეთის პატიება, ურთიერთდახმარება.

მიმართულებაზე გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე – ,,გავუფრთხილდეთ ბუნებას". ამ მიმართულებით ვცდილობდი მოსწავლეებში ჩამომეყალიბებინა ბუნების მიმართ მზრუველობითი დამოკიდებულება. ვისაუბრეთ, თუ რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ბუნებას; რა ზიანი მოაქვს გარემოს დაბინძურებას. ბავშვებმა შეასრულეს ნახატები, სადაც გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ბუნების მიმართ.

მიმართულებაზე პიროვნული და მორალური განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე – ,,ფანტაზია და ტყუილი". ვესაუბრე ფანტაზიისა და ტყუილის დადებით და უარყოფით მხარეებზე. განუმარტე, რომ ადამიანი ვისაც ფანტაზიის უნარი აქვს, სულაც არ არის მატყუარა, პირიქით, ხშირად ასეთ ადამიანთან ურთიერთობა საინტერესოც კი არის. ტყუილი კი უმეტეს შემთხვევაში ცუდს ემსახურება. ბავშვებმა გამოიყენეს ფანტაზია დახატეს და დაწერეს ესე.

მიმართულებაზე პიროვნული და მორალური განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე –,,ნამდვილი მეგობარი", რომლის მიზანია მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავება, ისწავლონ ადამიანური ურთიერთობების მოფრთხილება. გაიმართა დისკუსია, თუ რომელი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს ნამდვილი მეგობარი. მოსწავლეებმა გაიხსენეს ამბავი პირადი გამოცდილებიდან, მოთხრობებიდან.

მიმართულებაზე მეწარმეობის უნარების განვითარება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე - მეწარმეობის არსი. თემის მიზანი იყო მოსწავლეს განუვითარდეს საკუთარი სურვილების, საჭიროებების გამოხატვის უნარი. მნიშვნელოვანია გამოუმუშავდეს სწორად დაგეგმვისა და განაწილების უნარი. დაწერეს ესე - ნაჩუქარი ფული და ასევე წავიყვანე მარკეტში,სადაც საკუთარი ფულით შეიძინეს პროდუქტი.

მიმართულებაზე თვალსაწიერის გაფართოება ჩავატარე სადამრიგებლო საათი თემაზე: წიგნი - ჩემი მეგობარი, რომლის მიზანი იყო წიგნის კითხვის უნარის ჩამოყალიბება.

ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სპორტის პედაგოგმა ჩაატარა ფლეშმობი, სადაც ჩემი კლასის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებამ ბავშვებს წინასაახალწლო განწყობა შეუქმნა.

5 დეკემბერს ვიყავით სტუმრად მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლზე „ბრემენელი მუსიკოსები“, მიზანი - თვალსაწიერის გაფართოება.

10 დეკემბეს სტუმრად ვიყავით მოხუცთა თავშსაფარში,,ბარბარე“.ბავშვებმა მოინახულეს მოხუცებულები.დაურიგეს წერილები,საკვები პროდუქტები.ამ ვიზიტის მიზანი იყო მოსწავლეებში თანაგანცდისა და თანაგრძნობის უნარის განვითარება.

17 დეკემბერს ჩატარდა სატურნირო ოლიმპიადა ჭადრაკში.ოქროს მედლისა და პირველი ადგილის პრიზიორი გახდა თამარ ჯაჯანიძე.

19დეკემბერს ვიყავით ეკლესიაში სადაც გაიგეს თუ რატომ და რა კავშირი აქვს წმინდა ნიკოლოზს სანტა კლაუსთან.ვიზიტის მიზანი იყო თვალსაწიერის გაფართოება.

II სემესტრში კვლავ გავაგრძელებ სადამრიგებლო საათის თემების განხილვას სხვადასხვა მიმართულებებზე, რომელიც რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას, თანამშრომლობასა და თანადგომას.

2023წ წლიური სადამრიგებლო ანგარიში